სტუ-ს საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დარგობრივი კომისიის

შეფასების შედეგები

**ფილოსოფიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი**

დამტკიცებულია დარგობრივი კომისიის სხდომაზე ოქმი #5. 24 მაისი, 2024 წ.

<table>
<tr><th>სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კრიტერიუმები (კომპონენტები)</th><th colspan="2">სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება, რეკომენდაციები</th></tr>
<tr><td colspan="3">პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები</td></tr>
<tr><td rowspan="3">გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის “სამართლის ფილოსოფიის” ქართულ ენაზე თარგმნის პროექტი. ფილოსოფია (პოლიტიკის ფილოსოფია, სამართლის ფილოსოფია); 2021-2023. (გარდამავალი/მრავალწლიანი პროექტი).<br><br>მთარგმნელი, პროფ. გია ზარამიძე.</td><td colspan="2">პროექტის ფარგლებში გერმანულიდან ქართულ ენაზე ითარგმნა გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის მონუმენტური შრომა: “სამართლის ფილოსოფია.” თარგმნისა და რედაქტორების სამუშაოები დასრულებულია, თარგმანი გადაცემულია სტამბაში და მიმდინარეობს დაბეჭდვის მოსამზადებელი სამუშაოები.</td></tr>
<tr><td>შეფასება</td><td>დადებითი</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები</td></tr>
<tr><td>„ევროკავშირისა და ევროპული სახელმწიფოების ტრანსფორმაციის პროცესი კრიზისების გავლენის შედეგად: პრობლემები და გამოწვევები“. ფილოსოფია, სოციოლოგია, პოლიტიკური მეცნიერება, ეკონომიკა და სამართლის მეცნიერება. 2023.<br><br>პროექტში ჩართული პერსონალი<br>(თითოეულის როლის მითითებით):<br><br>ა) ქართველი მონაწილეები:<br>1. პროფ. მამუკა ბერიაშვილი - პროექტის ხელმძღვანელი;<br>2. დოქტორი მარიამ ხაზარაძე - პროექტის სამეცნიერო კოორდინატორი;<br>3. დოქტორანტი გიორგი ბერიაშვილი - პროექტის კოორდინატორი;<br>4. პროფ. ლაშა ბრეგვაძე - მომხსენებელი;<br>5. დოქტორანტი დავით გალაშვილი (სტუ) - მომხსენებელი;<br>6. ასოც. პროფესორი ირაკლი თაბორიძე (ზუგდიდი) - მომხსენებელი.<br><br>ბ) უცხოელი მონაწილეები:<br>1. ემერიტუს პროფესორი ანდრეას არნდტი (ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი);<br>2. ემერიტუს პროფესორი თეო კობუში (ბონის უნივერსიტეტი) - მომხსენებელი;</td><td colspan="2">პროექტი მიზნად ისახავდა კონსორციუმის მონაწილე ქართული უნივერსიტეტების კვლევით-საგანმანათლებლო პროცესების დაახლოებას ევროპულ სტანდარტებთან, კოლაბორაციის გაღრმავდებას ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტებთან, რათა კვლევისა და სწავლების პროცესი უფრო მეტად ინტერნაციონალური და ინტერდისციპლინური გახდეს.<br>პროექტის პრობლემატიკა განხილული იქნა ფილოსოფიის, სოციოლოგიის, პოლიტიკური მეცნიერების, ეკონომიკისა და სამართლის მეცნიერების პერსპექტივებიდან. ჰოლისტური მიდგომიდან გაანალიზებული იქნა საზოგადოებათა პრობლემები. ეს მიდგომა მით უფრო მნიშვნელოვანია თანამედროვე კრიზისებისა (Covid-19-ის პანდემია და ომი უკრაინაში) და პოსტ-კრიზისულ საზოგადოებაში თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფოებისა და საზოგადოების ტრანსფორმაციისთვის და მომავალი მოდელის შექმნისთვის. ხსენებულმა კრიზისებმა გამოავლინეს მრავალი პრობლემა, რომელიც დასავლური დემოკრატიული სამართლებრივი სამყაროს სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი სისტემების გარკვეულ ნაკლოვანებებს აჩვენებს და სახელმწიფოებრივი პოლიტიკის და საზოგადოებრივი ინსტიტუციების გაუმჯობესების შესაძლებლობას ქმნის.არგლებში<br>პროექტის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი აქტივობები:<br>1. საერთაშორისო კონფერენცია - „თავისუფლება, სამართლიანობა, სამართლებრივი სახელმწიფოებრიობა“. სტუ. 10-11 ოქტომბერი. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა: ემერიტუს პროფესორი ანდრეას არნდტი (ბერლინის ჰუმბოლ-</td></tr>
</table>

<table>
<tr><td rowspan="3">3. პროფესორი იურე ზოვკო (ზაგრების უნივერსიტეტი) - მომხსენებელი;<br>4. პროფესორი ნიკლაუს ლარგიერი (ბერკლის უნივერსიტეტი) - მომხსენებელი.<br><br>კონსორციუმის წევრები:<br>ა) ქართული უნივერსიტეტები:<br>1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;<br>2. სსიპ - ზუგდიდის შოთა მესხიას სახ. სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;<br>3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქუთაისი).<br><br>ბ) უცხოური უნივერსიტეტები:<br>1. ზადარის უნივერსიტეტი(ხორვატია);<br>2. ვარშავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (პოლონეთი).</td><td colspan="2">დტის უნივერსიტეტი), ემერიტუს პროფესორი თეო კობუში (ბონის უნივერსიტეტი), პროფესორი იურე ზოვკო (ზაგრების უნივერსიტეტი) და პროფესორი ნიკლაუს ლარგიერი (ბერკლის უნივერსიტეტი), ზდისლავ კრასნოდებსკი (ბრემენის უნივერსიტეტი), აგნიეშკა ნოგალი (ვარშავის უნივერსიტეტი). საქართველოს მხრიდან: პროფესორი მამუკა ბერიაშვილი (სტუ), პროფ. ლაშა ბრეგვაძე (თსუ), დოქტორი მარიამ ხაზარაძე (აწსუ), დოქტორანტი დავით გალაშვილი (სტუ), ასოც. პროფესორი ირაკლი თაბორიძე (ზუგდიდი), პროფ. გიორგი ღავთაძე (აწსუ).<br>2. პროფ. ანდრეას არნდტის (ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი) - საჯარო ლექცია „სამართალი და მორალი ჰეგელთან“ – 5 ოქტომბერი, 2023. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.<br>3. ვორქშოფი - „გლობალიზაციის პრობლემები: სახელმწიფოთაშორისი აღიარება თუ დაპირისპირება“. 8-9 ოქტომბერი, 2023. - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.<br>4. ვორქშოფი - „დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს გამოწვევები და პერსპექტივები თანამედროვე ევროპაში“. 6-7 ოქტომბერი, 2023. ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.</td></tr>
<tr><td>შეფასება</td><td>დადებითი</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები</td></tr>
<tr><th colspan="3">შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები</th></tr>
<tr><td rowspan="3"></td><td colspan="2">ანალიზი</td></tr>
<tr><td>შეფასება</td><td>დადებითი/უარყოფითი</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები</td></tr>
<tr><th colspan="3">უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები</th></tr>
<tr><td>“Challenges of a Democratic State governed by the Rule of Law under COVID-19” (“სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფოს გამოწვევები COVID-19 პანდემიის კრიზისის ფონზე”). პოლიტიკის მეცნიერება, პოლიტიკის ფილოსოფია, სოციალური თეორია“. კონტრაქტის No ONP/SP/566021/2022, პოლონეთის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პოლონეთი 2022-2024.<br><br>პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით):<br>1. პროფ. აგნეშკა ნოგალი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი პოლონეთის მხრიდან;<br>2. პროფ. მამუკა ბერიაშვილი - პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი საქართველოს მხრიდან;<br>3. დოქტორი მარიამ ხაზარაძე - პროექტის კოორდინატორი საქართველოს მხრიდან;<br>4. დოქტორი ქეთევან რჩეულიშვილი - პროექტის მონაწილე, ახალგაზრდა მეცნიერი;</td><td colspan="2">გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტი მიზნად ისახავს ინტერდისციპლინური კვლევითი პერსპექტივის განვითარებას COVID-19 პანდემიის შედეგებსა და მის გავლენებზე თანამედროვე საზოგადოებაში. კერძოდ, პროგრამის პირველი წლისთვის შემუშავებული კვლევითი პროგრამა ფოკუსირებული იყო პანდემიის წინაშე არსებული რეალობის გამოკვლევაზე მისი გარემოსდაცვითი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, ეთიკური და სულიერი განზომილებების თვალსაზრისით. პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ ფუნდამენტურ პრობლემებს, რომლებმაც პანდემიის შემდეგ იჩინა თავი, მათ შორის საინტერესოა პანდემიის გავლენა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე გლობალიზებულ სამყაროში. პანდემიასთან ბრძოლის ერთიანი სტრატეგიის შემუშავება იმ ფუნდამენტური გამოწვევის წინაშე დადგა, როგორიც იყო პოლიტიკური გადაწყვეტილებების ამოსავალი პრინციპების პოლარიზება, ერთი მხრივ, ეროვნული ინტერესებისა და რეალპოლიტიკის უსაფრთხოების პრინციპებსა და, მეორე მხრივ, - თანასწორობაზე, სოლიდარობასა და სოციალურ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული დემოკრატიული საზოგადოების პრინციპებს შორის.</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| 5. ასოც. პროფ. ირაკლი თაბორიძე - პროექტის მონაწილე, ახალგაზრდა მეცნიერი;<br>6. დოქტორანტი დავით გალაშვილი - პროექტის მონაწილე;<br>7. დოქტორანტი გიორგი კაშიბაძე - პროექტის მონაწილე. | დილემებმა, რომელთა წინაშეც ეროვნული მთავრობები პანდემიასთან ბრძოლის დროს დადგა, კიდევ უფრო აშკარა გახადა სხვადასხვა პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის ფუნდამენტური პრინციპები და მათი ეთიკური საფუძვლები. ამ ფონზე განსაკუთრებით აქტუალურია კრიტიკული პერსპექტივების მრავალფეროვნება, რომელიც წარმოიშვა ადამიანის უფლებათა კონტექსტში. პანდემიასთან ბრძოლის ეროვნული გეგმები, რომლებიც თავისუფალი გადაადგილების, შრომის, ჯანმრთელობის, განათლებისა და აღმსარებლობის თავისუფლების უფლებებს მკვეთრად შეეხო, რადიკალური კრიტიკის საგანი გახდა როგორც აკადემიური წრეების, ისე არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან.<br>პანდემიის გავლენა ვლინდება პიროვნული სულიერი (გონებრივი) გამოცდილების რთულ და ჯერ კიდევ შეუსწავლელ პრობლემებში, რამაც თავის მხრივ შეიძლება გავლენა მოახდინოს მომავალი საზოგადოების სოციალურ, პოლიტიკურ და ეთიკურ ყოფაზე. მომავლის განუსაზღვრელობა და არასტაბილურობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს და მომავალი საზოგადოების მორალურ სახესაც კი განსაზღვრავს.<br>გარდა ამისა, როგორც ბევრმა მეცნიერმა და ფილოსოფოსმა აღნიშნა, COVID-19 რეალობა ხასიათდება სამყაროსა და ბუნებისადმი პოზიტივისტური მიდგომის კრიზისით. ეს კრიზისი არის ფენომენი, რომელიც ღრმად არის ფესვგადგმული დღევანდელ ადამიანის ცნობიერებაში, რომელიც მოითხოვს მეცნიერების სიღრმისეულ და კომპლექსურ შესწავლასა და ანალიზს. ამ რთულ და მრავალმხრივ პრობლემურ საკითხებზე ადეკვატური პასუხების მიღება შესაძლებელია არა მხოლოდ კვლევის პროცესში სამეცნიერო წრეების ჩართულობით, არამედ სამოქალაქო საზოგადოებასთან ცოდნისა და გამოცდილების განხილვისა და ურთიერთგაზიარების გზით.<br><br>პროექტის ფარგლებში განხორციელდა ორი სეზონური სკოლა:<br>1. გაზაფხულის სკოლა, რომელიც ჩატარდა 15-20 მაისს საირმეში მიეძღვნა თემას: „კრიზისების გავლენა ევროპულ საზოგადოებაზე და სახელმწიფოს ტრანსფორმაცია.“ გაზაფხულის სკოლაში მონაწილეობდა 4 ქართველი და 4 პოლონელი პროფესორი/მეცნიერი, 10 ქართველი და 10 პოლონელი სტუდენტი). მათ წარადგინეს მოხსენებები ზემოაღნიშნული თემის გარშემო. გაზაფხულის სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა (მგზავრობის ორგანიზება, სასტუმროებთან კომუნიკაცია და სასტუმროებში პერსონალის განთავსება) პოლონური მხარის მიერ იქნა დაფინანსებული. ღონისძიების სამუშაო ენა იყო ინგლისური.<br><br>2. 2023 წლის ნოემბერში ჩატარდა შემოდგომის სკოლა კრაკოვში, რომელიც მიეძღვნა თემას: „პოლიტიკის ფილოსოფია, პოლიტიკა/საზოგადოება/ადამიანთა უფლებები“, რომელშიც მონაწილეობდნენ 4 ქართველი და 4 პოლონელი პროფესორი და 10 ქართველი და 10 პოლონელი სტუდენტი. ზამთრის სკოლის ფარგლებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან |

| | | |
|---|---|---|
| | მონაწილეობდნენ დოქტორი მარიამ ხაზარაძე, მოხსენებით „აღიარება, გლობალიზაცია და ევროკავშირის როლი მორალურ წინსვლაში“ და პროფ. ირაკლი ირაკლი თაბორიძე, მოხსენებით „ბუნებითი სამართალი: კლასიკური საშუალება ადამიანთა უფლებების რღვევის წინააღმდეგ“. | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |
| **პატენტები** | | |
| | ანალიზი | |
| | შეფასება | დადებითი/უარყოფითი |
| | რეკომენდაციები | |
| **ბეჭდური/ელექტრონული პროდუქციის გამოცემა საქართველოში** (მონოგრაფიები, წიგნები, სახელმძღვანელოები, კრებულები, სამეცნიერო სტატიები) | | |
| **მამუკა ბერიაშვილი, გეორგ ლომანი და არნდ პოლმანი (ედიტორები);** კონსტიტუციური სახელმწიფო და ძირითადი უფლებები, გამომცემლობა “მერიდიანი”, თბილისი 2023 წ (სტამბაშია) | სამეცნიერო სტატიების კრებული “კონსტიტუციური სახელმწიფო და ძირითადი უფლებები” საქართველოს რესპუბლიკის საიუბილეო 100 წლისთავისადმი მიძღვნილი შრომების კრებულს წარმოადგენს, რომლის თემატიკა კონსტიტუციურ სამართლებრივ სახელმწიფოს არსსა და მის გამოწვევებს უკავშირდება თანამედროვე სამყაროში. | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |
| **მამუკა ბერიაშვილი, ივანე ჯაგოდნიშვილი** (ედიტორები); თავისუფლების იდეა ქართულ სააზროვნო სივრცეში; ქარჩხაძის გამომცემლობა, 2023 წელი (სტამბაშია) | სამეცნიერო სტატიების კრებულში “თავისუფლების იდეა ქართულ სააზროვნო სივრცეში” შემავალი სტატიების ავტორები არიან: მამუკა ბერიაშვილი, მარიამ ხაზარაძე, ირაკლი თაბორიძე, ქეთევან რჩეულიშვილი, დავით გალაშვილი, მაკა ლაშხია და სხვები. | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |
| **მარიტა ზუბიაშვილი, ვაჟა გურგენიძე;** „ახალი სამოქალაქო ინიციატივა საქართველოში - „ქრაუდფანდინგი და მისი გავლენა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გაუმჯობესებაზე“;(A new civil initiative in Georgia - "Crowdfunding" and its influence on the improvement of public and political life) https://doi.org/10.36073/1512-374X-2023-1; ჟურნალი ,,ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)" N1(65),2023, გვ. 52-62; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. | სტატიაში ,,ახალი სამოქალაქო ინიციატივა საქართველოში - „ქრაუდფანდინგი“ და მისი გავლენა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გაუმჯობესებაზე“ განხილულია სამოქალაქო საზოგადოების შემდგომი განვითარებისათვის ქრაუდფანდინგის მნიშვნელობა, მისი გამოყენების რეკომენდაციები, კონკრეტული მიზნები და სასურველი შედეგები. | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |
| **მარიტა ზუბიაშვილი, ვაჟა გურგენიძე** „PR-ის განვითარების ეტაპები და მისი ზეგავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე“ (Stages of development of PR and its influence on the formation of public opinion) https://doi.org/10.36073/2346-8300 ჟურნალი „განათლება“ 2023 წელი 1(40) გვ:87-91; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; | სტატიაში ,,PR-ის განვითარების ეტაპები და მისი ზეგავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე,“ განხილულია საზოგადოებრივი ურთიერთობების (იგივე PR) მნიშვნელობა, საჭიროება, მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები და ის ძირითადი პრინციპები, რომელთა გამოყენებაც გულისხმობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობის გაზრდასა და კავშირების გამყარებას სხვა აქტორებთან. | |
| | შეფასება | დადებითი |

| | | |
|---|---|---|
| | რეკომენდაციები | |
| **თინათინ აფხაიძე, იზაბელა ქირია**<br>„სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების მნიშვნელობა და გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე" (Importance and impact of socio psychological factors on consumer behavior) https://doi.org/10.36073/2346-8300 ჟურნალი „განათლება“ 2023 წელი 1(40) გვ: 96-102; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. | სტატიაში განხილულია მომხმარებელთა ქცევის შესწავლის ძირითადი თეორიული მიდგომები, გადაწყვეტილების გამოტანის თეორიები, ემოციური/განცდითი თეორიული მიდგომა, ბიჰევიორისტული მიდგომის თეორია, ასევე პირდაპირი და ირიბი გავლენის თავისებურებანი. | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |
| **ბეჭდური/ელექტრონული პროდუქციის გამოცემა უცხოეთში** | | |
| Mamuka Beriashvili, David Gurgenidze<br>“Nation States and Globalization”, in: Does the European Union Contribute to Moral Progress, Ed. By Z. Krasnodebski, Krakow 2023. | The collection concerns the role of the European Union in a crisis situation and the moral importance it can take in the international order to solve global political problems such as global social inequality, economic, ecological crises, inequality, etc. The following researchers participated in the collection:<br>1)Archil Dadiani, Mariam Khazaradze – Recognition, Globalization and the Role of the European Union in Moral Progress<br>2)Daviti Galashvili – Theory of Progress<br>3)Prof. Dr. Mamuka Beriashvili, Prof. Dr. David Gurgenidze – Nation States and Globalisation | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |
| **სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა (საქართველოში, უცხოეთში)** | | |
| **მარიტა ზუბიაშვილი**<br>„ქალების, როგორც მედიატორების როლი და მათი ჩართულობის მნიშვნელობა საქართველოში“; ("The role of women as mediators and the importance of their involvement in Georgia") 17.03.2023 წელი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; | სტუ-ს გენდერული თანასწორობის კვლევითი ცენტრი სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტისლი მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,მსოფლიო და გენდერი - 7“. მომხსენებელმა განიხილა მედიაციის, როგორც დავის გადაჭრის ალტერნატიული მეთოდის თავისებურებები, ქალების როლისა და ჩართულობის მნიშვნელობა მედიაციის საკითხებში. | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |
| **მარიტა ზუბიაშვილი**<br>„სტუდენტური ფსიქოლოგიური კეთილდღეობა და მენტალური ჯანმრთელობის საკითხები“ - სიტუაციური მაგალითების ანალიზი დევიაციის ჭრილში (ირვინ გოფმანის ნაშრომის „თვითპრეზენტაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში“ მიხედვით) Analysis of situational examples from the point of view of deviation (From the work of Irvin Hoffmann „Self-presentation in everyday life“) 06.10.2023 წელი; ი.გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი | იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებული მესამე საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციის თემა „აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები ხელოვნური ინტელექტის პირობებში, პრაქტიკა და გამოწვევები“ იყო.<br>პროექტი INTEGRITI აკადემიური კეთილსინდისიერება- ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში, ევროკავშირის მიერ დაფინანსდა. | |
| | შეფასება | დადებითი |
| | რეკომენდაციები | |
| **კვლევების შედეგების კომერციალიზაციის პოტენციალი** | | |

| | | |
|---|---|---|
| | ანალიზი | |
| | შეფასება | დადებითი/უარყოფითი |
| | რეკომენდაციები | |
| **საექსპერტო მოღვაწეობა** | | |
| | ანალიზი | |
| | შეფასება | დადებითი/უარყოფითი |
| | რეკომენდაციები | |
| **ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობა** | | |
| | ანალიზი | |
| | შეფასება | დადებითი/უარყოფითი |
| | რეკომენდაციები | |

**სამეცნიერო ერთეულში დასაქმებულ მკვლევართა სამეცნიერო<br>პროდუქტიულობის მაჩვენებელი ციტირების ინდექსის საფუძველზე (ნოემბერი, 2023)**

| # | გვარი, სახელი | Scopus | | Web of Science | | Google Scholar | | სხვა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ციტირების ინდექსი | h ინდექსი | ციტირების ინდექსი | h ინდექსი | ციტირების ინდექსი | h ინდექსი | ციტირების ინდექსი | h ინდექსი |
| 1 | პროფ. ჭიაურელი ვანო | 0 | 0 | | | 0 | 0 | | |
| 2 | პროფ. აფხაიძე თინათინ | 0 | 0 | | | 0 | 0 | | |
| 3 | პროფ. ბერიაშვილი მამუკა | 0 | 0 | | | 0 | 0 | | |
| 4 | ასოც. პროფ. გუმბერიძე ნუცა | 0 | 0 | | | 0 | 0 | | |
| 5 | ასისტ. პროფ. ზუბიაშვილი მარიტა | 0 | 0 | | | 0 | 0 | | |

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი თ. ჯაგოდნიშვილი

დარგობრივი კომისიის მდივანი, პროფესორი გ. ჯოლია